

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის წარდგენის, განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 110-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის წარდგენის, განხილვისა და დამტკიცების პროცედურების (მუხლი 109 და 110) გათვალისწინებით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. უმაღლესი საბჭოს კომიტეტებმა, ფრაქციამ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი განიხილონ და შესაბამისი დასკვნები წარუდგინონ უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 27 ივნისისა.

2. უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა შემაჯამებელი სხდომა გამართოს სხვა კომიტეტებისა და ფრაქციის მიერ დასკვნების წარმოდგენიდან ორი დღის ვადაში.

4. უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა თავისი დასკვნა და სხვა კომიტეტების, ფრაქციის, უმაღლესი საბჭოს იურიდიულ, საკადრო და საქმისწარმოების დეპარტამენტისა და ცალკეულ წევრთა დასკვნები წარუდგინოს უმაღლესი საბჭოს ბიუროს შემაჯამებელი სხდომის ჩატარებიდან ორი დღის ვადაში.

5. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის შესახებ საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის მიერ გადაცემული დასკვნები ორი დღის ვადაში გაუგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი უმაღლესი საბჭოს შენიშვნების მიღებიდან ხუთი დღის ვადაში წარმოუდგინოს უმაღლესი საბჭოს.

7. უმაღლესმა საბჭომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი, პლენარულ სხდომაზე განიხილოს მისი წარდგენიდან სამი დღის ვადაში.

8. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვის დასრულების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში

ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის განხილვაში გამოაცხადოს შესვენება.

9. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის განხილვაში შესვენების გამოცხადებიდან არა უგვიანეს ორი დღისა კომიტეტმა, ფრაქციამ, ცალკეულმა უმაღლესი საბჭოს წევრებმა თავიანთი დასკვნები და წინადადებები (შენიშვნები) წარუდგინონ საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს, ხოლო საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა თავისი და შემოსული დასკვნები და წინადადებები (შენიშვნები) მომდევნო დღესვე გაუგზავნოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს.

10. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის შესახებ საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის მიერ გადაცემული დასკვნები და წინადადებები (შენიშვნები) მიღებიდან ორი დღის ვადაში გაუგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე დასკვნებისა და წინადადებების (შენიშვნების) გადაცემიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა, უმაღლეს საბჭოს გადასცემს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტს რეგლამენტის 109-ე მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციასთან ერთად, რომელიც იმავე დღეს ეგზავნება კომიტეტებსა და ფრაქციას.

12. უმაღლესმა საბჭომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტი განიხილოს მისი წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში.

13. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

მიხეილ მახარაძე

ბათუმი  
2007 წლის --- ივნისი  
№---- უ.ს.გ.ს.